ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3750736

ნომერი: AR1564968

თარიღი : 14.12.2017

გაცემის თარიღი : 22.12.2017

გაცნობის თარიღი : 23.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 4 , ჩაჩავას ქუჩა N1 , ლუბლიანას ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლერი მსხვილიძე პ/ნ 09001002090
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 111 კორ. 3 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი" კოდი: 404905821

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. მოთხოვნით ტექსტში ვრცლად განმარტეთ ინფორმაცია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად რა ტიპის და პარამეტრების ქვესადგურია.
2. წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის არსებობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. ასევე ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხე-ნარგავები, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ტოპოგრაფიული გეგმა და აღნიშნულის საფუძველზე დამუშავებული გენ-გეგმა, მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავებიდან და საკადასტრო საზღვრებიდან, საპროექტო შენობამდე დაშორების მანძილების მითითებით.
3. ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ობიექტის გეგმის დატანით. გაითვალისწინეთ შენობა-ნაგებობაზე ღიობების მოწყობისას საჭიროა დაცულ იქნას 3 მეტრიანი მიჯნის ზონა.
4. აღნიშნული ობიექტის განთავსებასთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას ს.ს. “თელასის“ პოზიცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.